საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1913/01
19/02/2020

1913-01-2-202002191254

შპს „რუსთავის აზოტს“

მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 20 იანვრის N744 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება სს „რუსთავის აზოტის“ მიმდინარე საქმიანობის (ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და განთავსების უბნების, ასევე ახალი, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობის და საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებთან დაკავშირებული პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილი ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემული 2008 წლის 11 დეკემბრის N43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნა რიგი დარღვევები. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მასალები გადმოგზავნილია სამინისტროში, რის საფუძველზეც სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიზნით, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს გონივრული ვადების დადგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიზნით გონივრული ვადების განსაზღვრამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044